



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კაკალაშვილი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე

კაკალაშვილი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე (13.IV. 1920, თბილისი, – 20.IV. 1995, იქვე), ინჟინერ-მექანიკოსი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1967), პროფესორი (1969), საქართვე. მეცნ. დამს. მოღვაწე (1979), სსრკ-ისა და საქართვე. დამს. გამომგონებელი (1982). 1942 დაამთავრა ს. კიროვის სახ. საქართვე. ინდუსტრიული ინ-ტი, 1943 კი – მოსკოვის საარტ. აკადემია. 1946 მუშაობა დაიწყო საქართვე. ინდუსტრიულ ინ-ტში, 1958-იდან იყო კვების მრეწველობის საწარმოთა მონყობილობების, ხოლო 1976-იდან – სამაცივრო ტექ. კათედრის გამგე. პარალელურად (1977-იდან) ხელმძღვანელობდა თავისსავე ჩამოყალიბებულ დარგობრივ ლაბორატორიას.

კ-ის სამეცნ. კვლევები ეხება კვების მრეწველობაში მანქანათმშენებლობის მიმართულებით გაანგარიშებისა და კონსტრუირების საკითხებს, კერძოდ, ჩაის გადამმუშავებელი მანქანების პრობლემების გადაჭრას. 1981 (მეცნიერების ჯგუფთან ერთად) მიენიჭა საქართვე. სახელმწ. პრემია. კ-ის გამოგონებებზე გაცემულია და გაყიდულია პატენტები ინგლისში, იაპონიაში, ინდოეთსა და შრილანკაში.

თხზ.: კვების მრეწველობის საწარმოთა ტექნოლოგიური მონყობილობების გაანგარიშებისა და კონსტრუირების საფუძვლები (სახელმძღვანელო), თბ., 1972; Теоретические и экспериментальные основы расчета конструирования роллеров, Тб., 1971.
